

შპს ნიუ ჯგუფი

ს/კ 205038196

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

თბილისი 2025 წ.

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება.....	1- 4
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	2
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	3
ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ზოგადი ინფორმაცია	5 - 18
1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
1.1 მომზადების საფუძვლები	5
1.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.....	6
1.3 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6
1.4.....	საო
პერაციო იჯარა.....	7
1.5	მოგ
ების გადასახადი.....	7
1.6	გა
დასახადები გარდა მოგების გადასახადისა	8
1.7	ძირ
ითადი საშუალებები	8
1.8.....	მატ
ერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	9
1.9	მარ
აგები.	9
1.10.....	ან
არიცხები.....	10
1.11.....	პი
რობითი აქტივები და ვალდებულებები.....	10
1.12.....	ფინ
ანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები	11
1.13.....	საკუ
თარი კაპიტალი	11
1.14.....	დივი
დენდები	12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	12
2.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები .	
2.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება	
2.3 სასამართლო დავები	
3. შემოსავალი	13
4. სხვა ხარჯები.....	13
5. ძირითადი საშუალებები	14
6. მარაგები.....	14

7.	სავაჭ
რო და სხვა მოთხოვნები	14
8. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
10. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	15-16
11. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან	17
12. პირობითი ვალდებულებები	17
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	17-18

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნიუ ჯგუფი (ს/კ 405038196) დაარსდა 08/04/2014 წელს. განცხადების ნომერი 738726, განცხადების რეგისტრაციის ნომერი B14038216 მარეგისტრირებული ორგანო: საჯარო რეესტრი; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდ დიღომი, პეტრე იბერის 8.

შპს ნიუ ჯგუფის დამფუძნებლები:

- ბერიკა დუშუაშვილი, 01019014673 33.4%
- გია მურაჩაშვილი, 01019011728 33.3%
- პაატა მძინარაშვილი, 01010005879 33.3%

დირექტორი - ლევანი შენგელია, 01023003440

ფინანსური ანგარიშგება

შპს ნიუ ჯგუფი ს ს/კ 405038196

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45987	118475
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8849	8808
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	583838	122135
სხვა მოკლევადიანი აქტივები	453552	392611
ძირითადი საშუალებები	358615	395650
ოფისის აღჭურვილობა	6937	8111
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2320	1520
სულ აქტივები	1,460,098	1,047,360
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2772	26258
საგადასახადო ვალდებულება	78644	67698
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1332030	742345
სულ ვალდებულება	1,413,446	836,301
მოგება-ზარალი	46652	211059
სულ კაპიტალი	46,652	211,059
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,460,098	1,047,360

შპს ნიუ ჯგუფი ს ს/კ 405038196

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022 31/12/2023	
საოპერაციო შემოსავალი	1574751	2036585
საოპერაციო შემოსავალი მშენებლობა	1478773	1948902
შემოსავალი იჯარიდან	95978	87683
გაყიდვების თვითღირებულება		-1137859
-1275958		
საერთო მოგება	436892	760627
საოპერაციო ხარჯები	1014151	586853
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები		143419
178792		
საპროცენტო ხარჯები		77860
56943		
შრომის ანაზღაურება	763928	289039
სხვა ჯარიმები		0
17120		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	0	20667
გადაფორმების ხარჯი	0	1507
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	11172	12442
საბანკო ხარჯი	2381	1661
საოფისე ხარჯი	6807	8682
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		10608
1465		
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	10608	1465
მოგება (ზარალი) გადასახადით დაბეგვრამდე		-587867
172309		

დირექტორი - ლევანი შენგელია პ/ნ 01023003440

შპს ნიუ ჯგუფი ს ს/კ 405038196

ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

31/12/2023

31/12/2022

შემოსავალი

2,961,810

3,020,029

სულ შემოსავალი

2,961,810

3,020,029

თანამშრომელთათვის ხელფასების გადახდა

662,135

226,040

მომწოდებელთან ანგარიშსწორება

1,648,545

1,615,461

ბიუჯეტში გადასახადი

223,283

286,151

სესხი ძირი

429,696

762,946

საპროცენტო ხარჯები

77860

56,943

სულ გასავალი

3,041,519

2,947,541

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება

-79,709

72,488

ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის

125,696

45,987

ფულადი სახსრების ნაშთი პერიოდის დასასრულისთვის

45,987

118,475

დირექტორი - ლევანი შენგელია პ/ნ 01023003440

შპს ნიუ ჯგუფი ს ს/კ 405038196

ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საწესდებო კაპიტალი

	31/12/2022	31/12/2023
გაუნაწილებელი მოგება	275,849	-7,902
საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი	-229,197	218,961
სულ კაპიტალი	46,652	211,059

დირექტორი - ლევანი შენგელია პ/ნ 01023003440

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

1.1 მომზადების

საფუძვლები ა)

ანგარიშგების შესაბამისობა

მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ბ) შეფასების საფუძველი

შპს ნიუ ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. შპს ნიუ ჯგუფის კორექტირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამტკიცებულია შპს ნიუ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 11 ნოემბერს. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება შპს ნიუ ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

შპს ნიუ ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

კოვიდ 19 - ის გავლენის შედეგად, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ინდუსტრია გამოწვევების და სირთულეების წინაშე დადგა. შპს ნიუ ჯგუფმა არსებულ ვითარებაში შეაფასა მომავალი გეგმები შედეგად შპს ნიუ ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება, იმის შესახებ რომ შპს ნიუ ჯგუფი ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 3 წლის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

1.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც შპს ნიუ ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც შპს ნიუ ჯგუფის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

1.3 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შპს ნიუ ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც შპს ნიუ ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. შპს ნიუ ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

- ▮ სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- ▮ გარიგების ფასის განსაზღვრა;
- ▮ გარიგების ფასის მიკუთვნება
- ▮ სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ▮ შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

შპს ნიუ ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შპს ნიუ ჯგუფი შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს მრავალსართულიანი ბინების რეალიზაციიდან, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი გადადის მომხმარებელზე, მისთვის საჯარო რეესტრში ბინის გაფორმებით, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემისას შპს ნიუ ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

შპს ნიუ ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული სამუშაოების სხვადასხვა ეტაპებიდან გამომდინარე და შესაბამისად, კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული სახელშეკრულებო ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შპს ნიუ ჯგუფის კონტრაქტებით მისაღები შემოსავლის უმეტესი ნაწილი არის გადანაწილებული გარკვეულ პერიოდზე. შპს ნიუ ჯგუფი კონტრაქტების მიხედვით მისაღებ თანხას ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე პერიოდის მიხედვით.

- კონტრაქტის გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი განწევრისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

1.4 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხით, საგადასახადო დარიცხვის მეთოდით. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის საგადასახადო მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

1.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შპს ნიუ ჯგუფი

გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

1.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

1.7 ძირითადი საშუალებები

შპს ნიუ ჯგუფში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა შპს ნიუ ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ბარალში, რომელშიც წარმოიშვა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ბარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ან შპს ნიუ ჯგუფის მიერ შიდა

მოხმარებისათვის აგებულ აქტივებთან მიმართებაში, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების დასრულებასა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.

ცვეთა აისახება მოგება-ბარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივის განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადრისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები	20 წელი
- ავტომობილები	5 წელი
- უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები	5 წელი
- კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა	5 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და დანარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

1.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს შპს ნიუ ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ბარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ

შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, შპს ნიუ ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება

განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ბარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ბარალში.

თუ გაუფასურების ბარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ბარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ბარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ბარალში

1.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით. სხვა მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

1.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შპს ნიუ ჯგუფის წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, შპს ნიუ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

1.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

1.12 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. შპს ნიუ ჯგუფის ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საღაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, შპს ნიუ ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. შპს ნიუ ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

შპს ნიუ ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და შპს ნიუ ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

1.13 საკუთარი კაპიტალი

შპს ნიუ ჯგუფის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება შპს ნიუ ჯგუფის წესდებით. შპს ნიუ ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა

მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

1.14 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

შპს ნიუ ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

2.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ნიუ ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში შპს ნიუ ჯგუფის არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

2.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

შპს ნიუ ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.3 სასამართლო დავები

შპს ნიუ ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდისათვის არ აქვს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოება.

3. შემოსავალი

შპს ნიუ ჯგუფის საქმიანობა არის - მრავალსართულიანი ბინების მშენებლობა. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს;

შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2023
საქმიანობის შედეგები	<u>1574751</u>	<u>2036585</u>
საოპერაციო შემოსავალი	1574751	2036585
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	1478773	1948902
შემოსავალი იჯარიდან	95978	87693

4. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2023
საოპერაციო ხარჯები	<u>1014151</u>	<u>586853</u>
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	143419	178792
საპროცენტო ხარჯები	77860	56943
შრომის ანაზღაურება	763928	289039
სხვა ჯარიმები	0	17120
ძირითადი საშუალებების ცვეთა	0	20667
გადაფორმების ხარჯი	0	1507
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	11172	12442
საბანკო ხარჯი	2381	1661
საოფისე ხარჯი	6807	8682
არასაოპერაციო ხარჯი	<u>10608</u>	<u>1465</u>

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	31/12/2022	31/12/2023
ძირითადი საშუალებები		367872
405281		
შენობები		358615
395650		
ოფისის აღჭურვილობა		6937
8111		
ავეჯი და სხვა ინვენტარი		2320
1520		

6. მარაგები

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31/12/2022	31/12/2023
სხვა მარაგები		0
0		

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2023
მოკლევადიანი მოთხოვნები	8849	8808
სულ მოთხოვნები	8849	8808

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2022	31/12/2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45987	118475
ფული და ფულის ეკვივალენტები	45987	118475

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2772	26258
საგადასახადო ვალდებულება	78644	67698
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1332030	742345
სულ ვალდებულება	1413446	836301

10. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად შპს ნიუ ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო, სასესხო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. შპს ნიუ ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა შპს ნიუ ჯგუფი-ს მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შპს ნიუ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

შპს ნიუ ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს შპს ნიუ ჯგუფი-ს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვისმიზნით, შპს ნიუ ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

შპს ნიუ ჯგუფი-ს საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. შპს ნიუ ჯგუფს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს შპს ნიუ ჯგუფი-ს ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კაპიტალის მართვა

შპს ნიუ ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შპს ნიუ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

შპს ნიუ ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

11. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ არის ურთიერთდაკავშირებული მხარეები.

12. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ნიუ ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, შპს ნიუ ჯგუფის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ შპს ნიუ ჯგუფი-ს ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს კორექტირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2025 წლის 11 ნოემბერს. 2020 წლის დასაწყისიდან, მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა კორონავირუსი (კოვიდ-19) და 2020 წლის 11 მარტს „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ“ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავრცელების შედეგად სიტუაცია სწრაფად ცვალებადია დღემდე. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი

გავლენა იქონია გლობალურ, ისე ადგილობრივი ბაზრებზე ამასთან, მნიშვნელოვანი პირდაპირი შედეგი იქონია შპს ნიუ ჯგუფის საქმიანობაზე, შემოსავლის და ხარჯების კუთხით. საანგარიშო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	118475	45987	125696
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8808	8849	44570
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	122135	583838	294262
სხვა მოკლევადიანი აქტივები	392661	453552	465426
ძირითადი საშუალებები	405281	367872	363212
სულ აქტივები	1047360	1460098	1293166
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	26258	2772	9347
საგადასახადო ვალდებულებები	67698	78644	60466
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	742345	1332030	864683
სულ ვალდებულებები	836301	1413446	934496
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	211059	46652	358670
სულ საკუთარი კაპიტალი	211059	46652	358670
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1047360	1460098	1293166
სულ მოკლევადიანი აქტივები	1183053	1460098	1293166
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	836301	1413446	934496

დირექტორი

ლევანი შენგელია პ/ნ 01023003440

საქმიანობის შედეგები

შპს ნიუ ჯგუფი ს/კ 405038196

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	2036585	1574751
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	1948902	1478773
სხვა	87683	95978
გაყიდვების თვითღირებულება	-1275958	-1137859
საერთო მოგება	760627	436892
დასაქმებულთა ანაზღაურება	-289039	-763928
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-20667	0
საპროცენტო ხარჯი	-56943	-77860
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-220204	-172363
სულ საოპერაციო ხარჯები	-586853	-1014151
საოპერაციო მოგება	173774	-577259
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-1465	-10608
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	172309	-587867
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	172309	-587867
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	172309	-587867
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	46652	358670
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-7902	275849
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	211059	46652

დირექტორი

ლევანი შენგელია პ/ნ 01023003440

შპს ნიუ ჯგუფი ს/კ 405038196

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2023 31/12/2022

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3020029	2961810
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2947541	-3041519
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	72488	-79709
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	45987	125696
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	118475	45987

დირექტორი

ლევანი შენგელია პ/ნ 01023003440